№ 21
იანვრის 26, კვირა 1903 წ.
1877

# ივერია

№ 21
იანვრის 26, კვირა 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**კნეინა სოფიო ერისთავი მხეიძისა** გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ტფილისში ძვირფას მეუღლისას სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის

**თავადის ფარნაოზ დავითის ძის მხეიძისას.**

განსვენებულის გვამის გამოსვენება მოხდება დღეს კვირას, 26 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზედ სასტუმრო „კავკაზი“-დგან. პანაშვიდი გადახდილი იქნება ტფილისის ვოგზალზე. განსვენებულის ანდერძის აგება და დაკრძალვა დანიშნულია დაბა ახალ-სენაკში, სამშაბათს, 28 იანვარს, დილის 10 საათზე.

24-ს იანვარს 1903 წ. პეტერბურგში უეცრად გარდაიცვალა **მთავრად ნამყოფი, უგანათლებულესი თავადი**

**სამეგრელოსი ნიკოლოოზ დავითის ძე**

28 ამა იანვარს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დილის ათ საათზე დაიწყება. (2—1)

## 1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

**ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თ უ მ ა ნ ი ა.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

**ტფილისში:**—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
**ქუთაისში:**—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
**ბათუმში:** ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
**ფოთში:** ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
**აქოში:**—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
**ზესტაფონში** (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
**საჩხერეში.** პეტრე მაჭავარიანთან.
**შორაპანში:**—პართენ ნასიძესთან.
**განჯაში:**—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
**გორში:**— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

**ფასი გაზეთისა** 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

კავკასიის ნატურალური კონიაკი
**დ. ზ. სარაჯიშვილისა**
ტფილისში
საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—3)

ქართულ მანუფაქტურის საქციონერო საზოგადოების
**საწყობში**
ტფილისში, სასახლის ქუჩაზე, სათავად-აზნაურო სახლში.
მიღებულია საქონელი საზამთრო სეზონისთვის ფლანელი, ვიგონი, ბაიკისა, შოტლაგდიისა, აბრეშუმისა და შალის საბნები, პლედები და შალები, წინდა-ჩულქები, პაიჟები, თბილი ფუფაიკები და პერანგის-ამხანაგები.
Crèpe de santè და ნაძვისა
კაცისა და ქალის თეთრეული. სრული მზითევი. ტილოსი და მიტკლისა, კლეონკები, სხვა-და-სხვა ფერის ტილოს სუფრები და ლინოლეუმი.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.
(17—8) დონერ—ლეიფცი.

ქართველ ქალთა ამხანაგობის
**სამკერვალოში**
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.
ბარონის ქუჩა, № 12.

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა**

აუწყებს საპრემიოდ წარმოდგენილ პიესების ავტორებს, რომ არც ერთი პიესა არ იქნა პრემიით დაჯილდოვებული და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს პიესების წოდება შეუძლიანი, ყოველ დღე დილის 11-დამ 1-ს საათამდე; უნდა მიმართონ საზოგადოების კანტორაში. კანტორის ადმინისტრატორ ბ-ნ ნახუცრიშვილს. (3—3—3)

№ 33. ტელეფონი № 176.

იაფ-ფასიანი წარმოდგენა
**ქართული თეატრი**
კვირას, 26 იანვარს, 1903 წ.
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
დაკლებულის ფასებით
ორი ახალი პიესა
I
**მსხვერპლი უხასიათობისა**
დრამ. 4 მოქ. ან. ჩეხოვის „Ивановъ“-დან გადმოკეთებული მ. ნასიძის-მიერ.
II
**სულ ამ ცხვირის ბრალია!**
ვოდ. 1 მოქ. გადმოკ. ივანიძეს-მიერ.
მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი, ელ. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, გ. გამყრელიძე, ტ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შაიირიშვილი, ყდენტი.
**ადგილების ფასი დაკლებულია.**
დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.
მზადდება წარმოსადგენად „**მიკუნჭული ბედნიერება**“, „ნორა“, „სიძე-სიმამრი“, „ჩატეხილი ხიდი“, „დარღვეული კერა“.
რეჟისორი **ვალ. გუნია.**
თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

**ისყიდება**
ვერაზედ. სათავად-აზნაურო სკოლის შენობის პირდაპირ, სამოსახლო 300 საჟ.
**მიწა**
იკითხეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შიო ქუჩუკაშვილთან და ან წიგ. გამოემცელ ამხანაგობის კიოსკში, ალექსანდრეს ბაღის თავში ელისაბედ მესხიშვილთან. (10—6.—7).

ექიმი
**ვ. ღამბაშიძე**
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დ ი ლ ა ო ბ ი თ:
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
**ჟ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
**მ. გ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
**ქ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.
ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:
**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
**ნ. ს. ლუბეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.
**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
**ტელეფონი № 274.**
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.
**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
**კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
**ა. გ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.
**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
**ზრ. ვ. სობოლევსკი**—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
**გ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა— ორშ ოთხშ. და შაბათი. 11½—12½.
**ა. გ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

**ტფილისი, 26 იანვარი 1903 წ.**

დღეს, 26 იანვარს, საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესია პატივსა სცემს ხსენებას ქართველთა უდიდებულესის მეფის წმ. დავით აღმაშენებლისას.

დიდებული ღვაწლი ამ მეფისა დაედო საფუძვლად ქართველთა ერის ყოველ-მხრივს წარმატებას შემდეგს საუკუნოებში.

მეფე დავით აღმაშენებელი სიჭაბუკის ჟამს აღვიდა სამეფო ტახტზედ 1089 წელსა. იმის გამეფების დროს საქართველო ჰგმინავდა სელჯუკ-თათრების მძიმე უღელს ქვეშ, — ქართლ - კახეთი მთლად განადგურებული იყო, ქართველთა ზნეობა მეტის-მეტად დაცემული. თვით სასულიერო წოდება უზნეობის მაგალითს აძლევდა სამწყსოს. ხალხის სწავლა-განათლების საქმე მივიწყებული იყო.

ამ უნუგეშო დროს დიდებულის გიორგი მთაწმინდელის მოწაფეთა გუნდი თავ-გამეტებით მოღვაწეობდა საქართველოში. ამ გუნდმა აღზარდა დავითი... ეს გუნდი იყო მისი მარჯვენა ხელი, მისი დიდებულის აზრების განმახორციელებელი.

ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ, 1099 წელს, დავითმა გაათავისუფლა საქართველო სელჯუკ-თათართა ბატონობისგან. თავისუფლების შარავანდედით გაბრწყინვებულს საქართველოს არსებობას ცუდს მომავალს უქადდა ზნეობით დაცემა ერისა. ზნეობითის სიდუხჭირის აღმოსაფხვრელად მან მოიწვია სასულიერო წოდების კრება რუის-ურბნისში. ამ კრებამ აღმოფხვრა ყოველივე უწესოება საერო და სასულიერო წოდებაში და დაამყარა სანატრელი წეს-რიგი. მისცა ერს საღსარი არსებობისა და განვითარებისა.

დავით აღმაშენებელმა შემოიერთა კახეთი და გახდა თვით-მპყრობელ მეფედ მთელის საქართველოსი ტრაპიზუნიდგან დარუბანდამდე, ოსეთიდამ მცირე აზიამდე. მანვე აღაშენა მრავალი ტაძარ-მონასტერი და სასწავლებელი; მისისავე ბრძანებით ყოველ წლივ ორმოც-ორმოცი ქართველი ყმაწვილი კაცი იგზავნებოდა საბერძნეთში სწავლა-განათლების დასამთავრებლად.

დავითი ყოველგვარ შემწეობას აძლევდა დაჩაგრულთა და შევიწროებულთა. დიდის გულმტკივნეულობით ეპყრობოდა წმიდა მეფე სომეხთა, რომელნიც მან გაათავისუფლა სელჯუკ-თათრების ბატონობისაგან 1124 წელს. 60,000 ქართველთა ჯარით აიღო სომხეთის სატახტო ქალაქი (სომეხთ დაკარგული ჰქონდათ პოლიტიკური თავისუფლება 1042 წლიდამ) ანისი, უბრძანა ეკურთხებინა სომხის სამღვდელოებას ქრისტიანულის წესით მეჩეთად გადაქცეული სომხის დიდებული საპატრიარქო ტაძარი. მას შემდეგ სომეხთ პატრიარქი, რომელიც აქამომდე მთებში იმალებოდა, დაბრუნდა ანისში და იქ დაიწყო ცხოვრება...

ოსები, ლეკები, აფხაზები, ყივჩაყნი და სხვა ერნი პატივისცემით ეკიდებოდნენ დიდებულს დავითს და მისი გაერთებულ საქართველოს თვით-მპყრობელი საბერძნეთისა და პალესტინაში, ათონსა და ანტიოქიაშიც-კი აშენებდა ტაძრებსა და მრავალს შესაწირავს უგზავნიდა.

მისისავე მეოხებით საქართველოს დედაქალაქი ტფილისი სამუდამოდ დაუბრუნდა ქართველობას და შეიქმნა საქართველოს სატახტო ქალაქად 400-ის წლის განმავლობაში მაჰმადიანთა ხელში ყოფნის შემდეგ...

დიდებული მეფე გარდაიცვალა 1125 წელს, იანვრის 24-ს და დიდის გლოვისა და გოდების შემდეგ დასაფლავებულ იქმნა გელათის მონასტერში, რომლის აღშენებაში იგი დიდს მონაწილეობას იღებდა.

საქართველოს ეკლესიამ შეიტანა დავითი, მამა ერისა, სამაგალითო ზნეობით შემკული წმიდათა შორის და დაადგინა დღესასწაული მისის ხსენებისა 26 იანვარს.

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ დღეს, ქართულ თეატრში, ქართულ დრამატიულ დასისგან გამართულ იქნება იაფ-ფასიანი წარმოდგენა; წარმოდგენილი იქნება 4 მოქმედებიანი დრამა ანტ. ჩეხოვისა „მსხვერპლი უხასიათობისა“ და ვოდევილი „სულ ამ ცხვირის ბრალია“. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

✦ ქართული თეატრის მსახიობი ვ. ს. ალექსეევ-მესხიშვილი, როგორც ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, მეტად შეუძლოდ გამხდარა. ქართულ დრამატიულ საზოგადოების კომიტეტს გუშინ ქუთაისში გაუგზავნია

[illegible] რომ ტფილისში ჩამოიყვა[illegible] აქ და [illegible]—სამზღვარ-გარეთ.

◆ ტფილისის გუბერნიის ექიმს ბ-ნ [illegible]

◆ ექიმი [illegible]

◆ სამშაბათს, 28 იანვარს, დანიშნულია [illegible] საზოგადოების წევრთა კრება.

◆ 27 იანვარს დანიშნული ქალაქის [illegible]

◆ დღეს, 26 იანვარს, უნდა მოხდეს [illegible] 11 საათზე.

◆ ტფილისის [illegible]

◆ ტფილისის გუბერნატორმა [illegible]

◆ ტფილისის [illegible] 58,158,656 მანეთ [illegible] 9,583 [illegible] 466,139 მან. 92 კაპ.

◆ სამშაბათს, 28 იანვარს [illegible]

◆ [illegible] ფლო სამეურნეო გაჭირებათა გამომკვლევარ კომიტეტს უკვე დაუმთავრებია უმაღლესად დაარსებულ ბჭობის პროგრამმაში აღნიშნული საგნების განხილვა და გუშინ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ მიიღო კიდეც მოხსენებანი კომიტეტისაგან; ელისავეტპოლის საგუბერნიო კომიტეტმა წარმოადგინა სულ შვიდი მოხსენება.

◆ ფოთში ორი წარმოდგენა გაუმართავთ ავადმყოფ მოღვაწის ვლ. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. საზოგადოება წარმოდგენებს ბლომად დასწრებია.

◆ ს. პატარა დმანისში—ტფილისის მაზრა—წითელა გაჩენილა, რომლის წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით არავითარი ღონის-ძიება არ მიუღიათ.

◆ ს. ქედელში—სიღნაღის მაზრა—პოლიციას შეუპყრია მიხ. ჯუჯულაშვილი, რომელიც 1900 წელს სოფელმა გადაასახლა ავკაცობისთვის ციმბირში, საიდგანაც გამოიპარა და ორი წელიწადი სიღნაღის მახლობელ სოფლებში იმალებოდა.

◆ როგორც ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, შუშის მაზრის ორ სოფელს ხალფარადინელებს (500 კომლია) და ამის ახლო მდებარე სოფელს საჩივარი მიუციათ სასამართლოში ერევნის გუბერნატორზედ, რომელშიაც სასამართლოს აუწყებენ, რომ, გუბერნატორის რჩევით, ჩვენ ზარალი მოგვივიდა და უნდა გუბერნატორმა გვიზღოსო; საქმე აი, როგორ ყოფილა: შარშან ტფილისის სააბრეშუმო სადგურის გამგეს ბ-ნ შავროვს მიუმართავს გუბერნატორისათვის და უთხოვნია, ვიცი-რა რომ თქვენს გუბერნიაში მცხოვრებნი აბრეშუმის მოყვანას მისდევენ, გთხოვთ ურჩიეთ და მიიღეთ რაიმე ღონისძიება, რომ მათ ჩვენის სადგურის თესლი შეიძინონ. ან და ის თესლი, რომელსაც ჩემდა რწმუნებულ სადგურის ბანდეროლი აკრავს გუბერნატორს, რასაკვირველია საჭირო ღონისძიებანი მიუღია და დაუვალებია პოლიციისათვის, რომ გაავრცელოს და შეასყიდოს მცხოვრებლებს ტფილისის სააბრეშუმო სადგურისაგან ბანდეროლით აღნიშნული ჭიის თესლი. საუბედუროდ, იმ წელიწადს ამ თესლისაგან გამოჩეკილი ჭია მთლად გასწყვეტოდათ მაცხოვრებლებს და მათი ზარალი ფრიად საგრძნობელი ყოფილა, რადგანაც ერთად ერთი ხელ საურელი მათი შესავალი აბრეშუმის მოყვანა ყოფილა; აი, სწორედ ამის გამო ამ ორის სოფლის მცხოვრებთ დაუქირავებიათ ვექილი, რომლისთვისაც მიუნდვიათ ამ საქმის წარმოება.

ამის თაობაზედ სასამართლოში საქმე უკვე სწარმოებს; ამ დღეებში მოუხდენიათ კიდეც ადგილობრივი გამოძიება და აღმოუჩენიათ, რომ მხოლოდ იმ სოფლებს გასწყვეტია აბრეშუმის ჭია, სადაც შავროვისაგან წაუღიათ ბანდეროლით აღნიშნული თესლი; მეზობელ სოფლებში კი მშვენივრად გამოსულა ჭიაც და აბრეშუმიც საკმარისად მოსვლიათ.

## † უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზ დავითის ძე მინგრელსკი

(ნეკროლოგი)

24 იანვარს გარდაიცვალა პეტერბურგში უგანათლებულესი თავადი ნიკოლოოზ დავითის ძე მინგრელსკი.

განსვენებული შვილი იყო სამეგრელოს უკანასკნელის მთავრის დავითისა, რომელიც გარდაიცვალა 1853 წელსა. დაბადებისათანავე მიიღო პარუჩიკობა ლეიბ-ყაზახთა პოლკისა. მონათლულ იქმნა თვით ხელმწიფის მიერ თავ. ვარანცოვის ხელითა. მცირე-წლოვანი ნიკოლოოზი, მაშინ მხოლოდ 6 წლისა, როგორც მემკვიდრე, დამტკიცდა მთავრად და ღრამატაც მიიღო მთავრობისა იმპერატორ ნიკოლოოზ პირველისაგან.

1867 წელს ახალგაზდა მთავარმა ხელი აიღო მთავრობაზედ. ბოლგარიის მთავრის ბატენბერგის გადაყენების შემდეგ რუსეთის იმპერატორმა წამოაყენა კანდიდატურა ბოლგარიის მთავრის ადგილზედ თავადის მინგრელსკისა, მაგრამ ევროპის დიდთა სახელმწიფოთ ეს არ მოინდომეს, სხვა-და-სხვა მოსაზრებით, და თავადი ფერდინანდი იქმნა დამტკიცებული ბოლგარიის მთავრად.

ამ ბოლოს დროს, განსვენებული თავადი, სამსახურიდგან გამოსული, სცხოვრობდა კერძო კაცად ხან პეტერბურგსა და ხან სამეგრელოში, საცა ორი სასახლე ჰქონდა: საზამთრო ზუგდიდში და საზაფხულო—გორდში.

გორდში იყო დაცული ის შესანიშნავი ბიბლიოთეკა ქართულის ხელ-ნაწერებისა, რომელიც დიდის ღვაწლით და სიყვარულით ჰქონდა შეძენილი წიგნის და განათლების დიდს მოყვარულს მის მამას მთავარს დავით დადიანს და რომელიც ნიკოლოოზმა 1885 წელს შემოსწირა წერა-კითხვის საზოგადოებას.

ნიკოლოოზ მინგრელსკი დიდად განათლებული კაცი იყო. იცოდა არა ერთი და ორი ევროპიული ენა, ძველი კლასიკური ენები და ხშირად იტყოდა ხოლმე ზეპირად მთელს ნაწყვეტს ჰომეროსის ილიადა და ოდისეისსა ბერძნულად.

თავის სამშობლო ქვეყანას არასოდეს არ ივიწყებდა და, ასე თუ ისე, ეხმარებოდა, როცა-კი მიჰმართავდნენ თვისნი მემამულენი რაიმე შემწეობის აღმოსაჩენად.

ძველის სენაკის სათავად-აზნაურო სკოლას მცირე შემწეობა არ აღმოუჩინა. სამეურნეო განყოფილება ამ სკოლისა თითქმის მისის შეწირულების წყალობით დაარსდა.

კერძო ცხოვრებაში განსვენებული უგანათლებულესი თავადი მინგრელსკი ფრიად სასიამოვნო მოსაუბრე და სტუმართ-მოყვარე იყო. სამეგრელოში ყოფნის დროს, თავადს ნიკოლოოზს მუდამ გარს ეხვია სამეგრელოს თავად-აზნაურობა, რომელსაც დიდად უყვარდა და რომელსაც დიდის პატივის ცემითაც ეკიდებოდა.

## ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

22 იანვარი (მეთოთხმეტე სხდომა).

კრება, რომელსაც დაესწრო სხვათა შორის კავკასიის სამთამადნო მმართველობის უფროსი ბ-ნი რუგევიჩი, დაიწყო 12 საათზედ. სანამ ოქმის კითხვას შეუდგებოდნენ, ბ-ნმა ფ. კიკნაძემ მიმართა თავმჯდომარეს,—გუშინ კრების დასრულების შემდეგ აქ ერთი მეტად უწესო ამბავი მომხდარა და, რადგან ყველანი დიდად აღგვაშფოთა, ნება გვიბოძეთ ამის შესახებ მსჯელობა ვიქონიოთ.

თავმჯდომარე. რადგან ეგ სამწუხარო ამბავი კრების შემდეგ მოხდა, კრებას არ შეეხება და ვერც მსჯელობის ნებას მოგცემთ მაგის შესახებ.

ექ. ჭიჭინაძე. მეც და ყველა ჩემი ამხანაგებიც მეტად აგვაღელვა ბ-ნ იოსებ პავლეს ძე კაკაბაძის მხეცურმა საქციელმა; ჩვენ უკვე განვუცხადეთ წრფელი გულის წყრომა ამ საზიზღარ საქციელის გამო ბ-ნ კაკაბაძეს, რომელიც ეხლა თავადაც სწუხს და მზადაა სიტყვიერად, წერილობით, თუ გაზეთის საშუალებით ბოდიში მოიხადოს „ცნ. ფურც." კორრესპონდენტის წინაშე*).

წაკითხულ იქმნა მეთორმეტე კრების ოქმი და, მცირეოდენ შესწორების შემდეგ, დამტკიცდა.

ბ. გ. ზდანოვიჩი. რადგან გუშინ მუშათათვის სამზარეულოს მოწყობა მხოლოდ პრინციპიალურად გადასწყდა და არავითარი განსაზღვრული ინსტრუქცია არ მიეცა საბჭოსა და არჩეულს კომისიას, საჭიროა მეტი თავისუფლება მაინც მიეცეს კომისიასა და საბჭოს მოქმედებისა. მაგალითად, გუშინ ბ-ნ ემერიკმა გვირჩია სატარებელი სამზარეულო, მაგრამ იმ თანხით, რომელიც ორატორმა დაასახელა, ყოვლად შეუძლებელია მისი განხორციელება; ბ-ნ ცერცვაძის აზრით კიდევ, სამზარეულო იქვე, მუშების ბინებთან უნდა მოეწყოს და სხ. მაგრამ, რომ არც ერთი ეს პროექტი არ გამოგვადგეს, უნდა გვექნეს, თუ არა, უფლება სხვა გზას დავადგეთ? ბატონებო, აუცილებლად საჭიროა ეს ეხლავ გადასწყდეს, თორემ მომავალში ათასნაირ მითქმა-მოთქმას და საყვედურს გამოიწვევს.

ბ-ნი გ. ცერცვაძე. ჩემის აზრით, კომისიამ და საბჭომ სრულიად თავისუფლად უნდა იმოქმედოს და ისეთი გზა აირჩიოს, რომელსაც საუმჯობესოდ დაინახავს. მხოლოდ ეხლავ უნდა შეუდგეს საქმეს და, რაც შეიძლება, მალე განახორციელოს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. მაშ, როგორც სადგომების აგება, ისე სამზარეულოს მოწყობა, პრინციპიალურად გადაწყვეტილია და საბჭოსა და კომისიას მოქმედების თავისუფლება ეძლევა. ეხლა საჭირო თანხის რაოდენობის შესახებ მომავალ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდე უნდა მოვიცადოთ, თორემ ბ-ნ ემერიკის მიერ დასახელებული თანხა—2,000 მანეთი, როგორც დავინახეთ, პირსაც ვერ მისწმენდს.

ბ-ნი ემერიკი. სრულიად შევუერთდები ბ-ნ ცერცვაძის აზრს, რომ კომისიისა და საბჭოს მოქმედება არ უნდა შევზღუდოთ, პირიქით, როგორც საუმჯობესოდ დაინახვენ, ისე უნდა მოიქცნენ. გარდა ამისა, მე არ მითქვამს,—ამ საქმეს 2,000 მანეთი ეყოფა-თქო; მე ვსთქვი მხოლოდ, რომ სამზარეულოს 2,000 მანეთით დახმარება აღმოვუჩინოთ-მეთქი.

ბ-ნი დ. ბაქრაძე. ვგონებ, რომ სამზარეულოების მოწყობის საქმე მეტად დავაჩქარეთ. ჩემის აზრით, ეგ სამზარეულოები თავის დანიშნულებას ვერ გაამართლებს, რადგან მაღნებში ბევრი სხვა და სხვა კუთხის ხალხია და სულ სხვა-და-სხვა საჭმელს არიან ჩვეულნი. როგორ გნებავთ, რომ ყველა დააკმაყოფილოთ ერთნაირის საჭმელით? სამზარეულოს ნაირ-ნაირი საჭმელების მომზადება ხომ არ შეუძლიან. უმჯობესი იქნება, მომავალი სადგომები ისე იყოს მოწყობილი, რომ მსურველს საჭმლის მომზადებაც შეეძლოს. ჩვენ მხოლოდ სალი და იაფი სანოვაგე მივაწოდოთ. ყოველი ჯგუფი თავისთვის მოიმზადებს ისეთ ჭამადს, როგორსაც ნაჩვევია და მოსწონს.

ბ-ნი გ. ცერცვაძე არ ეთანხმება იმ აზრს, ვითომ მართლა ისეთი განსხვავება იყოს რაჭველსა, იმერელსა, ქართლელსა, მეგრელსა და სხვათა შორის, ერთნაირი საჭმელი ვერა სჭამონ. გარდა ამისა, თითო ჯგუფი 2—3 კაცისაგან შესდგება და როგორ შეუძლიანთ, თითო კაცი საჭმლის მომზადებას მოანდომონ. როცა ჩვენებურ მუშათა ჯგუფებზე (артель) დაიწყებენ ლაპარაკს, გარეშე კაცს ეგონება,—მართლა მრავალ რიცხვოვანი ჯგუფიაო; იმისა არ იყოს, რომ დაუკრავთ ენაზე, ჭიათურის მაღნებზე დედაკაცებიც მუშაობენო, და ერთად-ერთი დედაკაცის მეტი-კი ჯერ იქ არავის უნახავს, თორემ ეს ყველამ უწყის ჭიათურაში.

მდივანმა წაიკითხა დასასრული ბ-ნ ცერცვაძის მოხსენებისა, რომელიც მღვიმე-მაღაროების განათებისა და ჰაერის გაწმენდას შეეხებოდა. როგორც მოხსენებიდგანა სჩანს, მაღაროებში მეტად ცუდი ჰაერი სდგას, უბრალო (უშუშო) ლამპების წყალობითაო. საჭიროა, რომ ჯერ-ჯერობით 200 მანეთი გადავდოთ და ვსცადოთ რამდენისამე მაღაროს რიგიანად განათება, რომელიც ამასთანავე ჰაერს მაინც არ გააფუჭებსო. ავტორი არ ასახელებს თავის მოხსენებაში, თუ როგორი განათება უნდა იქნეს მოწყობილი,—ეს მცოდნე სპეციალისტთა საქმეაო, მხოლოდ ყოვლად შეუძლებლად ჰრაცხს მაღაროების იმ მდგომარეობაში დატოვებას, რომელშიაც დღესაა. მისის აზრით უნდა აირჩეს მცოდნე კაცთა კომისია, რომელმაც საბჭოსთან ერთად უნდა შეიმუშაოს ეს საქმეო.

ხმები: მომავალ საბჭოს გადაეცეს ბ-ნ ცერცვაძის მოხსენება.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. მაშ, აქვე არჩეულ იქმნას კომისია და შეტანილ იქმნას მომავალ ხარჯთ-აღრიცხვაში 200 მანეთი ამ საქმისათვის, თორემ, როგორ იქნება ასე განუსაზღვრელ მინდობილობის გადაცემა საბჭოსათვის.

მღ. მჭედლიძე. გუშინ ბევრი ლაპარაკი იყო მუშების შესახებ, მაგრამ ყველა ისე ლაპარაკობდა, თითქოს ადამიანი-კი არა, მუშა-საქონელი ჰყავთ სახეშიო. მოვუწყოთ მუშებს ბინა, რიგიანი სასმელ-საჭმელი მივაწოდოთო და სხ. მხოლოდ ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ მუშათა სულიერ მოთხოვნილების შესახებ—ეკკლესიისა, სკოლისა, ბიბლიოთეკისა, თეატრისა და სხ. ერთის სიტყვით, არც-კი მოიხსენიეს განმანათლებელი დაწესებულებანი; ჩემის აზრით, ამისათვის უნდა მიექცია კრებას უმთავრესი ყურადღება; მრავალი საყვედური იყო გამოთქმული,—ქურდობენ, გვატყუებენ, ასეთსა და ასეთ უწესოებას სჩადიანო და ის-კი აღარავინ იკითხა,—რა მიზეზიაო. მგონი, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ სენის განკურნება მხოლოდ გონივრულისა და ზნეობრივის განვითარებით შეიძლება. (ტაში)

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. განმანათლებელ დაწესებულებათა შესახებ რამოდენიმე მოხსენებაა, მაგრამ ბ-ნ ცერცვაძის მოხსენების დასასრულიც, მგონი, ამასვე შეეხება; ჯერ ეს მოვისმინოთ ბოლომდე და შემდეგ დანარჩენებთან ერთად მამა მჭედლიძის მოხსენებაც.

ექ. ჭიჭინაძე. როგორც მახსოვს, მესამე

*) 22 იანვარს, კრების გათავების შემდეგ, ბ. იოს. ფ. კაკაბაძე მისულიყო „ცნ. ფურც." კორრესპონდენტთან და ეთქვა,—თქვენ განზრახ სტოვებთ ხოლმე ჩემს სიტყვებს, უმთავრესი ადგილები ყოველთვის გამოშვებული გაქვთ. კორრესპონდენტს პასუხად ეთქვა,—მე სწორედ იმასა ვსწერ, რასაც ამბობთ ხოლმე. და, თუ გულში სხვასა ფიქრობთ, მე არ ვიცი, როგორ უნდა აღვნიშნო იგიო. ბ-ნ კაკაბაძე სრულიად მოულოდნელად მივარდნოდა და შეურაცხყოფა მიეყენებინა მოქმედებით.

საყურადღებოა, რომ სწორედ ბ-ნი კაკაბაძე დიდ ქომაგობას უწევდა ბეჭდვითი სიტყვას ამ კრებებზე და სხვას უკიჟინებდა,—ბეჭდვითი სიტყვას უპატივცემულოდ ეკიდებით, მისი შეხუთვა-შევიწროება გინდათო (იხ. ჩვენი კორრესპონდენციები).

საზოგადოება მეტად ააღელვა ბ-ნ კაკაბაძის მხეცურმა საქციელმა, მით უმეტეს, რომ ზემოხსენებული კორრესპონდენტი „ცნ. ფურც."-ისა ყველასაგან ცნობილია, როგორც მეტად რიგიანი ახალგაზრდა.

კორ.

# ფელეტონი

## ცოტა რამ სასცენო ხელოვნებისა.

კარგად მახსოვს, ამ თორმეტ-ცამეტის წლის წინად, ინგლისურსა და ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებში პოლემიკა ასტყდა ხელოვნების იმ ქვა-კუთხედის პრინციპზედ, რომელიც აქამომდეც ძალიან მაინტერესებს. ეს პოლემიკა მით უფრო შესანიშნავია, რომ სცენის ხელოვნების ძირითად პრინციპზედ მოწინააღმდეგეთ გამოვიდნენ ისეთი სახელოვანნი და გამოჩენილნი მსახიობნი, როგორნიც არიან ჰენრი ირვინგი და კოკლენი. ამ მსახიობთა ბაასმა დიდხანს გასტანა, რუსული ჟურნალ-გაზეთობაც-კი აალაპარაკა და მეც, პატარა მსახიობი, ვბედავ ამ დიდ-მნიშვნელოვან საგანზედ ჩემი აზრიც გავუზიარო მკითხველს და უფრო-კი მათ, ვინც ჩვენ სცენას ემსახურება. ვერც იმ უსაფუძლოდ წარმოთქმულმა აზრმა შემიკავა, ვითომც მსახიობისთვის უმჯობესი იქნებოდაო დაკვირვებით სხვისი ნაბლაჯნი შეესწავლა, ვინემც თავისი საკუთარი აზრი აღენიშნა ქაღალდზედაო.—ჩვენის თეატრის სახელოვან მსახიობთ რომ შესძლებოდათ და დაეწერათ, რა გზით, რა ნაირ გონებისა და გრძნობის მოქმედებით ჰქმნიან თავიანთ გარდმონაცემ ტიპებს, იქნება მათის გონებისა და გრძნობის მოძრაობის უბრალო აღწერას არამც თუ მათის მოძმეებისათვის გაეწია სამსახური, არამედ საზოგადოებისათვისაც-კი. ამას გარდა, ქართულ თეატრის ლიტერატურა არც ისე დაცემული იქნებოდა, როგორც ეხლაა. მათი გამოცდილება და დაკვირვება, რაც უნდა მარტივად ყოფილიყო გამოთქმული, მაინც ფასს არ დაჰკარგავდა, როგორც სანაგვეზედ ნაპოვნი ძვირფასი თვალი.

მაგრამ დავუბრუნდეთ წერილის საგანს. რამდენადაც ზემოხსენებულ გამოჩენილ მსახიობთა პოლემიკიდგან გამოირკვა, სადაო საკითხი ეს არის: მსახიობი უნდა გრძნობდეს მის წარმოდგენილის ტიპის ძარღვთა ცემას, თუ რაო? ნამდვილად უნდა იყოს აღელვებული მსახიობი მის მიერ დასახულ ტიპის ამა თუ იმ გრძნობისაგან, თუ თავი უნდა შეიკაოს, უკუ აგდოს საკუთარი გრძნობათა ღელვა და მხოლოდ გარეგნულად აჩვენოს მაყურებელს, ვითომ აღელვებულია ვარო.

მე ვამტკიცებ და მჯერა კიდეც, რომ ყოველმა დიდბუნებოვანმა მსახიობმა უნდა იგრძნოს და გრძნობს კიდეც, რასაც გვისახავს სცენაზედ. ის უნდა სულდგმულობდეს იმ ტიპის გრძნობით, რომლის განხორციელებაც იკისრა, და ამ სულიერ მოძრაობით არა თუ ერთხელ, ან ორჯელ, უნდა იყოს გამსჭვალული, არამედ ყოველ წარმოდგენაზედ. მხოლოდ ამით დაიპყრობს მსახიობი მაყურებელთა ყურადღებას და ატირებს და აცინებს თავისთან ერთად. მსახიობმა უნდა შეითვისოს წარმოდგენილის ტიპის შთაბეჭდილება ისევე, როგორც იგი განავითარებს თავისს ხმას, მიხვრა-მოხვრას და გარეგნობას.

სულ სხვა აზრისა არის კოკლენი. იმის აზრით, რაც უნდა მწვავე იყოს მსახიობის მიერ გამოსახული ტიპის გრძნობა, მსახიობი მაინც გულგრილი და აუშფოთებელი უნდა დარჩესო; მხოლოდ გარეგნულად უნდა აჩვენოს მაყურებელს, რომ იგი აღელვებულია და აშფოთებულიო; ერთის სიტყვით, თუ შეიძლება ორი სულ სხვა-და-სხვა მეტოდი არტისტიულის მუშაობისა აღვნიშნოთ ფიზიოლოგიურ ორგანოებით, კოკლენი ამტკიცებდა, რომ მსახიობი თავის როლის აღსრულების დროს უნდა მოქმედობდეს მხოლოდ გონებით და არა გრძნობითაო.

რომ კოკლენს სწამს ეს, ცოტა არ იყოს, პარადოქსალური თეორია და ცდილობს კიდეც ეს თავისი რწმენა განახორციელოს, ამაზედ ეჭვი არავის ექნება, ვისაც უნახავს კოკლენის მრავალ ფეროვანი, ყოველ გარეგნულ ღირსებით შემკული აღსრულება რომელიმე როლისა. ბევრჯელ დაუტკბიხარ და გაუტაცნიხარ კიდეც მის დიდხელოვნურ თამაშობას; გსურს მსახიობთა მეფედ აღიარო, მაგრამ ამავე დროს ჰგრძნობ, რომ, თუმცა მისი ხელოვნური სცენაზედ მოქმედება დიადია, თვით მის ყოველ მიხვრა-მოხვრაში გამოსჭვირს, რომ იგი უებარი ოსტატია სცენის ხელოვნების ყოველისავე საიდუმლოებისა, მაგრამ მის თამაშობას მაინც რაღაც აკლია, და ამ ნაკლის მიზეზი, ჩემის აზრით, ის არის, რომ კოკლენი სისტემატიურად სცდილობს დაამდაბლოს თავის თავიც და ის ხელოვნებაც, რასაც იგი ემსახურება. „კოკლენს რომ ეს ნაკლი არ ჰქონდესო, სთქვა სახელოვანმა იტალიელმა მსახიობმა ტომაზო სალვინიმ, იგი სცენის ხელოვნებას უმაღლეს წერტილამდე აღამაღლებდაო და ამ ხელოვნებას ეყოლებოდა ერთი უდიდესი მოღვაწე და დამცველი ხელოვნების პრინციპებისაო".

გამოჩენილი კრიტიკოსი ი. ივანოვი, პროფესორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, კოკლენის გასტროლების შესახებ, „რუსულ უწყებებში" სწერდა: „აღტაცებაში მოვყევარ მსახიობის დიდ-ხელოვნურ ტიპების გარდმოცემასაო; უფრო სასიამოვნოდ მიაჩნია კაცს, როცა ჰხედავ, რომ ამისთანა მსახიობის მოძღვრების წყალობით ხალხს ისე მოსწყურებია წმინდა ხელოვნების ნახვა, რომ დიდი და პატარა თეატრში მიეშურებაო; ეს იშვიათი მოვლენაა ჩვენს დროსა და იმისთანა კაცი, რომლის ხელოვნების პრინციპების ქადაგებაზედ ასე მიისწრაფვის ხალხი, ჩვენს დროს მოციქულად უნდა იწოდებოდესო. მაგრამ რა დიდად მწყინს, რომ კოკლენს ერთი ნაკლულევანება აქვსო და უფრო სამძიმოა ჩემთვის, რომ ეს ნაკლი დიდ ნაკლად უნდა აღვიაროო".

„კოკლენიო, დასძენს ივანოვი, მაკვირვებს თავის თამაშობის ხელოვნებით, მაგრამ ამავე დროს ვგრძნობ, რომ მის დასახულს სულიერს მოძრაობას აკლია რაღაც განმაცხოველებელი სითბო, რომელიც მის გარდმონაცემის ტიპის შთაბეჭდილებას უნდა აორკეცებდეს და მით ხიბლავდეს მაყურებლის ყურადღებასაო".

ეჭვი არ არის, რომ ის მსახიობი, რომელიც არ სულდგმულობს მის მიერ გარდმონაცემ ტიპის გრძნობათა ღელვით, ემსგავსება იმისთანა მანეკენს, რომელიც მექანიკურს რაიმე თვალთმაქცობას მოჰყავს მოძრაობაში. მაყურებელი განცვიფრებაშია და ფიქრობს: „რა საკვირველებაა! ეს თოჯინა რომ ცოცხალი იყოს, თავის გრძნობა-გონებით ატირებდა და აცინებდა კაცსაო." პირ-იქით, მსახიობი, რომელიც გრძნობს და აქვს ზეცით მომადლებული ნიჭი, რომ ეს გრძნობა მაყურებელსაც გაუზიაროს, ამისთანა მსახიობის ხელოვნებაზედ ყოველთვის გესმით: „აი ნამდვილი ცხოვრება! ეს თვით ჭეშმარიტებაა! ჰხედავთ, მასთან ერთად ვტირი და ვიცინიო."

მხოლოდ მაყურებელში გამოწვეული გრძნობათა ღელვა ჰხდის მსახიობს ნამდვილ ხელოვნების წარმომადგენლად, დანარჩენი მისი გარეგნული ტეხნიკური განვითარება-კი საერთო კუთვნილებაა ყოველივე დარგის ხელოვნებისა.

როგორც არიან ისეთნი, რომელთაც ხელში მხატვრის კალამი არ აუღიათ და მხატვრის პალიტრას არ მიჰკარებიან, ან კიდევ ისეთი რომელთაც ერთი ლექსის ტაეპიც არ დაუ-

კრებაზე მოხდა დადგენილება სკოლების გახსნის შესახებ; ეხლა რაღა საჭიროა იმის განმეორება, რაც უკვე გადაწყვეტილია; მხოლოდ, თუ შეძლება გვექნება, განვახორციელოდ იგი. თუ ვისმე ახალი აქვს სათქმელი, ის მოვისმინოთ.

ბ-ნი მთსუშვილი. სრულიად უსაფუძვლოა მამა მჭედლიძის საყვედური როგორც საბჭოსა, ისე კრებისადმი. რაც-კი შეგვეძლო, ჩვენ არა დაგვიზოგავს-რა, რომ მუშათა ყოფაცხოვრება როგორმე გაგვეუმჯობესებინა. ავაგეთ აბანო, დავადგინეთ სამოქალაქო (სახელოსნო განყოფილებით) სკოლის დაარსება, რიგიან სადგომების აშენება, არსებობს საკვირაო სკოლა, სახალხო ბიბლიოთეკა, თეატრი და სხვა. ვინ ამბობს, თუ-კი რაიმე ღონისძიება გვექნება, დიდის სიამოვნებით დავაარსოთ კიდევ სკოლები და სხვა განმანათლებელი დაწესებულებანი, მაგრამ ჯერ მომავალი ხარჯთ-აღრიცხვა განვიხილოთ, გავიგოთ,—შეგვიძლიან კიდევ მეტი გამოვიღოთ ამ საქმისათვის თუ არა. სრულიად უსაფუძვლოა მ. მჭედლიძის საყვედური, და ერთიანად უკანვე ვუბრუნებ.

მღ. მჭედლიძე. მე არც ვუსაყვედურებ ვისმე, და არც ნება მაქვს ამისა; მხოლოდ, თუ კრებას მსჯელობა ექნება განმანათლებელ დაწესებულებათა შესახებ, მეცა მსურს გამოვსთქვა ჩემი აზრი. მე მინდოდა კრების ყურადღება იმ გარემოებისათვის მიმექცია, რომ მაძღარი მუშა მხოლოდ კარგი სამუშაო საქონელი იქნება და სხვა არა-რა. ვგონებ, რომ კრება თავის მზრუნველობას უფრო ზნეობრივ და გონებრივ დახმარებით უნდა იჩენდეს.

ბ. გ ზდანოვიჩმა წაიკითხა მოხსენება შორაპნის სამრევლო სკოლების ზედამხედველისა, რომელშიაც აღნიშნული იყო, სხვათა შორის, დიდი მოთხოვნილება სკოლებისა ჭიათურასა და მის მიდამო სოფლებში. ავტორის აზრით, აუცილებლად საჭიროა 4 ერთკლასიანისა და 2 ორკლასიან სკოლის დაარსება ზემოხსენებულ სოფლებში, რაიცა წლიურად უნდა დაჯდეს 11000 მანეთამდე; თუ რომ შავი-ქვის მრეწველთა კრება ერთხანად 70,000 მან. გადასდებს, საუკუნოდ უზრუნველ ჰყოფს ამ საქმესაო. თუ კი შესაძლო იყო აბანოსათვის 80,000 მანეთის დახარჯვა, საფიქრებელია, რომ არც ამ გაცილებით უფრო სასარგებლო საქმისათვის დაიშურებს კრება ზემოხსენებულ თანხასაო.

მღ. მჭედლიძე. მოხსენების შესახებ მხოლოდ ის უნდა შევნიშნო, რომ, თუ ერთხანად ვერ შესძლებს კრება ამოდენა ფულის (70,000 მან.) გამოღებას, 15-ის, ან 25 წლის განმავლობაში მაინც არ გაუჭირდება ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს იგი.

შემდეგ იმისა მამა მჭედლიძე შეეხო მომავალ ხარჯთ-აღრიცხვის იმ ადგილს, საცა განმანათლებელ დაწესებულებათა ხარჯებია მოყვანილი.

ხარჯთ-აღრიცხვაშიო—ბრძანა მ. მჭედლიძემ—პირველი ადგილი სახალხო თეატრს უჭირავს; ვის რად უნდა სახალხო თეატრი ჭიათურაში? ჩემის აზრით, სახილხო თეატრს ქუთაისშიაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მუშას შრომის შემდეგ ძილი და მოსვენება ეჭირვება; ასეც იქცევა; მორჩება თუ არა მუშაობას, დასაძინებლად მიდის. ჩვენ-კი გვინდა, რომ თეატრს მივაჩვიოთ იგი. როგორ შეუძლია ისარგებლოს მან ამ თეატრით? შინაარსი არ ესმის; მხოლოდ გარეგნობა ჰხიბლავს; დაეჩვევა, თუ არა, თეატრებსა და გართობას მუშაობაზე გული აუვარდება და თანდათან გაზარმაცდება. ჩემის აზრით, არავითარს საჭიროებას არ წარმოადგენს სახალხო თეატრი ჭიათურაში.

ბიბლიოთეკ -სამკითხველოს შესახებ მ. მჭედლიძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ მუშა ხალხი მაინც და მაინც ვერ სარგებლობს ამ დაწესებულებითაო, თუმცა მუშების სახლი-კი ჰქვიაო და უმჯობესია, რომ მას მრეწველთა საყოველთაო ბიბლიოთეკა დაერქვასო.

მ. მჭედლიძემ ყველაზედ უფრო სახალხო კითხვები მოიწონა. ამას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება,—რადგან იგი ნამდვილი უნივერსიტეტია ხალხისათვისო.

1 საათზე კრება შესწყდა.

# ჩვენებური ამბები

**ბათუმი.** დღეს 23 იანვარს, დღის თორმეტ საათზე, გაისმა ცეცხლის მქრობელი რაზმის ბუკის გულსაკლავი ხმა. რაზმი მიდიოდა ნავთის ქარხნებისაკენ. ცეცხლი გასჩენოდა მანთაშევის ხე-ტყის საწყობს. იქიდან რალაც მანქანებით მოსდებოდა თვით ქარხანასაც. ყოველი მხრიდან ხალხი ფაიტონით, ცხენით და ფეხით იქით მიეშურებოდა. აი მივედით კიდეც და ჩვენს თვალს წარმოუდგა საზარელი სურათი; ჯოჯოხეთური ცეცხლის ალი რკალსავით ეხვია ირგვლივ მთელ ხე-ტყის მასალას. ქარხნიდგან-კი, სადაც ნავთის სასხმელი მოწყობილებანი იწოდა, შავ ღრუბლსავით ამოდიოდა ჯოჯოხეთისებური ქუვარტლივით ბოლი, რაც ქალაქის ერთ ნაწილს ბნელი ზეწარივით ეფინებოდა და დღის სინათლესაც აბნელებდა. ქარი თანდათან ძლიერდებოდა და მასთან ეს ულმობელი სტიქიონი ანადგურებდა ასიათასებს და ვინ იცის მილიონებსაც, რადგან ჯერ იგი არ გამქრალა და არც არავის ეკითხება გაქრობას. ცეცხლის მქრობელი რაზმი პირდაღებული შესცქეროდა რამდენიმე ხანს. მერმე მოვიდა გონს და იფიქრა ამას მაინც ვეღარას ვუშველი და იქნება მახლობელი სახლები მაინც გადავარჩინოვო, რომელთა შეხურებულ კედლებსაც დაუწყო წყლის სხურება. ახლომახლო სახლებში მცხოვრებნი შეძრწუნებულნი და შეშინებულნი სცლიდენ სახლებს და ვინ მუშებით და ვინ დროგებით ეზიდებოდნენ თავიანთ ავლა-დიდებას.

ქუჩებში ღრიანცელი იყო. ცეცხლთან გაჩნდა გუბერნატორის მოადგილე გენერალმაიორი დრიაგინი და სხვა-და-სხვა სამოქალაქო საპოლიციო და სამხედრო მოხელენი. ჯარისკაცებიც მოიყვანეს, მაგრამ საქმეს ვერა უშველესრა. ამ სტრიქონებს რომ ვწერ ღამის ათი საათია და ცეცხლი მძვინვარებს, იგი ისევ მედგრათ ანადგურებს, რასაც უახლოვდება. მისი ალით მთელი ქალაქი გაჩირაღდნებულია. ზარალი დიდი იქნება, რადგან ოთხ მილიონ ნახევარი ყუთების მასალა, რაც მილიონ მანეთზე მეტი ღირდაო, ფერფლად იქცა. ქარხანას კიდევ უკიდია და მგონი აღარც გაქრება, სანამ იგიც ფერფლათ არ იქცევა. ნავთის რეზერვარები, კამენდანტის ბრძანებით, დასცალეს, ზღვაში მიუშვეს, რომ ცეცხლი არ გასჩენოდათ. მკითხველი წარმოიდგენს, თუ რა სიმდიდრე განადგურებულა. მაგრამ ვისთვის არის იგი სამწუხარო და სავალალო? პატრონს იგი ერთიორათ ჰქონია დაზღვეული და ამიტომ ნაღდ ფულებს ჩაიჩხრიალებს ჯიბეში. დამზღვევი საზოგადოება? მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ ჩვენი ცხოვრების იმ უკუღმართ ნიადაგზეა აღმოცენებული, რომლის მოგება და ზარალი მშრომელ ხალხს აწვება კისრად. მაშ ვინ უნდა ინაღვლოს და იტიროს ეს სამწუხარო და სავალალო ამბავი? ისევ მათ, ვინც დღე მუდამ ეწეოდა იქ გადუხჭირებულ ცხოვრების უღელს, ვინც მუდამ დღე შრომობდა და ოფლს ღვრიდა არსებობისათვის, მაგრამ მაინც ასატანი იყო ეს მისთვის, დიაღ, ისევ იმ ათასამდე ქარხნის მუშებს, რომელნიც თავის წვრილ ცოლშვილით და მოხუცი მშობლებით ულუკმაპუროდ დარჩებიან, რადგან ქარხნის განადგურების გამო ისინი ერთხნობით მაინც იქნებიან სამუშაოს მოკლებულნი.

ონ.—ლიძე.

**თელავი.** აქ დიდი თოვლი მოვიდა. ხალხი სახლში მომწყვდა, არავითარი სერთო არა არის-რა, გარდა ლოტოსი და ბანქოს თამაშობისა, ერთის „ბალისა“, რომელიც იყო გნენის ჩოლოყაშვილის მეთაურობით, 6 იანვარს და ესეც ჩვენი მაღალ საზოგადოებისათვის და ისინიც საკმაოდ დაესწრნენ და ჩვენი „ბაზრელები“, ე. ი. უბრალო მუშა-ხალხისათვის-კი არა ყოფილა-რა, არც თეატრი და არც სხვა.

გავლილ წელს, ყოველთვის იმართებოდა სადღესასწაულოდ წარმოდგენები, სახელდობრ „დილები“ და „შობის ხეები“, რომლებსაც მართავდა ბ-ნი აჯიამუგლოვი.

თელავის ბიბლიოთეკას აქამდინ არ ჰქონდა ქართული წიგნები, ახლა-კი ყოველი ქართული წიგნები მოიპოვება. ჩვენ ვნახეთ ტფილისიდგან გამოგზავნილი ქართული წიგნები, მშვენიერ ტილოს ყდაში გაკეთებულები წარწერით: „თელავის ბიბლიოთეკის წიგნთაგანი“. ეს წიგნები იმ ფულით არის ნაყიდი, რომელიც წასულ წელს იაფფასიანი წარმოდგენიდგან დარჩა.

აქ გავრცელდეს არა სასურველი ხმა, შესახებ იმ ფულისა, რომელიც იყო მოგროვილი ამ რამდენიმე წლის წინად (რომლისაც გარდაიცვალა გიორგი წერეთელი) გვირგვინისათვის. რადგანაც გვირგვინის გაგზავნა ვერ მოასწრეს, ამისათვის ის ფული ისევ დარჩა, ეხლა არ იციან, ვის აქვს და, რატომ რომელიმე საქველმოქმედო საქმეს არ ახმარებენ!

ათასგვარ ხმებსავრცელებენ იმაზედ, ვინც არა იცის-რა იმ ფულის შესახებ. ვსთხოვ მას, ვინც მოაგროვა ის ფული კახეთში, გამოაცხადოს, თუ ვის გადასცა, ანუ რას მოახმარა. ეს საჭიროა მისთვის, რომ საზოგადოების ნდობა არ დავკარგოთ და შემდეგშიაც შევგეძლოს ფულის მოგროვება.

იმასაც უმატებენ, რომ რადგან თავგი გასჩენია ბიბლიოტეკის „კასას და სარევიზიო კომისია ყურადღებას არ აქცევსო“.

ყველას მოეხსენება, რომ თელავში ბევრი საქველ მოქმედო წარმოდგენა იმართებოდა გავლილ ზაფხულს; ერთი ამგვარი წარმოდგენა გაიმართა გავლილ ზაფხულს, რათა ერთი მასწავლებელი გაეგზავნათ უმაღლეს სასწავლებელში, სადაც შეისწავლიდა „პირუტყვების მკურნალობას“, მაგრამ ის მასწავლებელი ისევ მასწავლებლათ დარჩენილა და ფული-კი შემოხარჯვიათ.

თელავის სასაფლაოზედ ასაფლავიან მგოსანი დავითაშვილი და მწერალი ქალი ბარბარე ჯორჯაძისა, ამ შვიდი წლის წინად ქართველ საზოგადოებამ დასდგა მათ ერთი ძეგლი, მაგრამ ის ძეგლი შეცდომით სხვის საფლავზედ აღმართეს; იმას დროზედ მიაქციეს ყურადღება, დავითაშვილის ნაცნობებმა; რამდენიმე პირმა იკისრა ძეგლის გადატანა და ფულიც ჯორჯაძის ნათესავებმა გამოიღეს, და აი დღესაც არ გადაუტანიათ. იმის შვილებს, ვისაც ეხლა ძეგლი ადგია, განუზრახავთ წაშალონ ძეგლზე წარწერა და ამოაჭრევინონ თავიანთი მშობლების გვარი და სახელი. საზოგადოება, უეჭველია, ეხლა მაინც იზრუნებს ამისთვის.

ნადიკვრის ეკალი.

# რუსეთი

მოკლე ხანში კრება მოხდება სრულიად რუსეთის მეღვინეებისა, რომელთაც უნდა მიიღონ ღონისძიებანი ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ.

— სახალხო განათლების სამინისტროში შუამდგომლობა აღიძრა იმის შესახებ, რომ სოფლის მასწავლებელთა კრებაზედ დასწრების ნება ყოველს მსურველს მიეცეს.

# უცხოეთი

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორს 45 წელი შეუსრულდა. ამ დღის სასხოვრად იმპერატორმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა თავის ნათესავებისა და მეგობრების წინაშე:

„მე დიდად მახარებს ის ამბავი, რომ ჩემი (?) ხალხი (იგულისხმეთ გერმანიის ხალხი.) თანაგრძნობასა და ერთგულებას მიცხადებს, დღესასწაულობს ჩემი დაბადების დღეს, აზადებს ჩირაღდნებსა და მრ. სხ. მაგრამ ჩემი აზრით, ჩემი გულისთვის არ უნდა იხარჯებოდეს ეკონომიურად შევიწროებული ხალხი; არ უნდა დავივიწყოთ ღარიბთა დახმარება და ნუგეში. მე დიდი მოხარული ვიქნებოდი, რომ ყველა ზედმეტი ხარჯები ხალხის გაჭირებისათვის იყოს დანიშნული (!).

განსაკუთრებით ქალაქის თვით მმართველობანი უნდა ცდილიყვნენ ჩემის დაბადების დღეს ღარიბთათვის იაფი სადილები დაემზადებინა. მე დიდად დღეს ბედნიერი ვიქნებოდი რომ ჩემი დაბადების დღესასწაულის დღეს არავინ მშიერი არ ყოფილიყო, როცა აუარებელი ფული იხარჯება ფეიერვერკების მაშხალებისა და შუშხუნების მოწყობისათვის“.

**საფრანგეთი.** 15 იანვარს საფრანგეთის პალატაში არა სასიამოვნო ამბავი მოხდა. პალატა შეუდგა საზოგადო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვას, სახელდობრ დაიწყეს სჯა რკინის გზაზე მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. დეპუტატმა სიბილმა განაცხადა, ამ საგანს 275 მილ. მან. მოუნდებაო. დეპუტატმა ბერტომ შენიშნა, ეს რიცხვი სწორე არ არისო, რაზედაც სიბილმა უპასუხა, ციფრები ადმინისტრაციისაგან მივიღეო. სოციალისტმა კადენმა განაცხადა, ადმინისტრაცია სწორე ციფრებს არ იძლევა, რადგან უნდა ხელი შეუშალოს განზრახულ რეფორმათა განხორციელებასო. კადენმა გაჰკიცხა აგრეთვე მინისტრი, მან და კომბმა კაბინეტის პროგრამას უღალატესო. ამ სიტყვებმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია პალატაში. საზოგადო საქმეთა მინისტრმა განაცხადა „მე თავაზიანი კაცი ვარ, მაგრამ არ შემიძლია ამნაირ ბრალდებაზე თავაზიანად ვუპასუხოო“! ამ სიტყვებზე მთელმა პალატამ ტაშით დააჯილდოვა მინისტრი. კადენი ეცა მინისტრს და კინაღამ თავპირი ერთიან დაათხაპუნა, მაგრამ მოსამსახურეებმა დაიჭირეს. მთელმა პალატამ ტაში დაუკრა კიდევ მინისტრს. ჩხუბის შემდეგ გადასწყდა, ნდობა გამოეცხადოს მთავრობას.

ამის შემდეგ კადენმა ჩხუბი ასტეხა დეპუტატ შანმიუსთან, რატომ ჩემი მხარე არ დაიჭირე, როდესაც მინისტრს ვეჩხუბებოდიო. კადენმა საკმაოდ დაათხაპუნა ბრჭყალებით პირისახე შანმიუს, საქმე იმით გათავდა, რომ კადენი გარედ გაიყვანეს.

— ყოვლ რომმა და ზოგიერთ რესპუბლიკელთ ჯგუფთა დეპუტატებმა შეიტანეს პალატაში კანონ-პროექტი საფრანგეთის კონსტიტუციის გადასინჯვის შესწორების შესახებ. ახალი კანონ-პროექტის ძალით, პალატაში არავითარი კანონი არ უნდა ჰსჯულდებოდეს, რომელიც-კი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დეკლარაციასო. შემდეგ, თუ რესპუბლიკის პრეზიდენტი მოინდომებს რაიმე ახალი კანონის შემოღებას,—ეს საკითხი პალატის ორმა მესამედმა უნდა დაამტკიცოსო.. და სხ.

# თეატრი და ხელოვნება

### პეტროს ადამიანი

დღეს არტისტიულ საზოგადოების თეატრში, დილის 12 საათზედ, სომეხთ დრამატიულ საზოგადოების დასისაგან ტრაგიკოსის პეტროს ადამიანის სახსოვრად იმართება წარმოდგენა. როგორც ვუწყით, განსვენებული მსახიობი გამოჩენილი და განთქმული არტისტი იყო. მან მოიხვეჭა სახელი არა მარტო თავის სამშობლოში, არამედ რუსეთში და თვით ევროპაშიც. იგი მშვენივრად თამაშობდა როგორც სომხურსა, ისე ფრანგულს ენაზედაც. ორივე ენა საუცხოვოდ შეესწავლა და ჩინებული გამოთქმაც ჰქონდა.

ჩვენს ქალაქში პ. ადამიანი სამი წლის განმავლობაში თამაშობდა. ყველა ტომის ხალხი სიამოვნებით დაიარებოდა მაშინ წარმოდგენებზე. არა ერთი ქართველი დამტკბარა მისის მოხდენილი თამაშობით. ახლაც იგონებენ აღტაცებით განსვენებულს არტისტს ისინი, ვისაც უნახავს პ. ადამიანი სცენაზე ჰამლეტის როლში.

მისი რეპერტუარი ძლიერ ფართო იყო. იგი გამოდიოდა შილლერის, ვიქტორ ჰიუგოს, კორნელის, რასინის, დიუმას პიესებში. მას უთამაშნია აგრეთვე ჩაცკის, ხლესტაკოვის და კრეჩინსკის როლები სომხურ ენაზე.

მაგრამ სახელ-განთქმული ტრაგიკოსი სულ სხვა მწერალს ეტრფოდა; მას გატაცებით უყვარდა შექსპირი, რიმლის ტრაგედიები ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. ყველა შექსპირის კრიტიკოსების ნაწერები ჰქონდა გადაკითხული, მაგრამ ეს არ უშლიდა მას, თავის აზრი შეედგინა შექსპირის გმირების დახასიათებისა და გამოსახვის შესახებ. შექსპირის შესწავლა მან გაიხადა ცხოვრების მიზნად, იგი მთლად მიენდო არჩეულს საქმეს და სწორედ რომ მისცა თავისს ნიჭს „გზა ფართო“. მეტადრე მისს ტრფობის საგანს შეადგენდა ჰამლეტი. ადამიანი თითქოს შეესისხლხორცა ამ ყოვლად სიმპატიურს და მომხიბლავს ტიპს, ღრმად ჩაუკვირდა მის ბუნებას და ამ გვარად შეთვისტომებულს არდგენდა სცენაზე.

მეოთხმოცე წლების დასაწყისში მოსკოვსა და პეტერბურგში აღტაცებაში მოჰყავდა მას საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთობა. ყველას სურდა ენახა იგი სცენაზე, ყველა მიისწრაფოდა მისს გასტროლებზე. მას ადარებდნენ ტომაზო სალვინის და ერნესტო როსსის. ოტელოში იგი შეუდარებელი იყო და სალვინის არ ჩამოუვარდებოდა, როგორც ამას მოწმობენ დრამატიული ხელოვნების საუკეთესო მცოდნენი. საზოგადოება განურჩევლად ეროვნებისა აღტაცებული იყო...

მაგრამ დიდხანს არ დასცალდა ჩვენი მეზობლების სცენას ემაყნა ამ ყოვლად ნიჭიერი არტისტით. სუსტმა ბუნებამ ვერ აიტანა არტისტის მუდამ მღელვარე ცხოვრება და წარჩინებული ტრაგიკოსი, მის სამშობლოს საუბედუროდ, მიიცვალა 1890 წ. თიბათვის 3-ს, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა (38 წლ.), იმედებით სავსე...

პ. ადამიანი მარტო მსახიობი არ იყო. იგი იყო მხატვარიც—მას ეხერხებოდა მეტადრე ქალების სახეების დახატვა. ოფელიას სურათი, მისგან დახატული, დღესაც შეუდარებელია. მან აგრეთვე თავის სკოლა შექმნა სომხურ ლირიკულ პოეზიაში. სომხის სალიტერატურო კრიტიკოსები მისს ლირიკულ ლექსებს ფრიად აფასებენ და მაღლა აყენებენ. ერთი აქ ლექსთაგანის რუსული თარგმანი დასტამბულია გრ. ჯანშიევის წიგნში „Братская помощь“.

აი, ამ სომხის სამშობლოს სცენის დამამშვენებელის სახსოვრად გამართულ წარმოდგენის გამო სალამი ვუძღვნათ, როგორც სომხის დრამატიულ საზოგადოებას, მსახიობთ, ისე მთელს ერს. დაე, პეტროს ადამიანისთანა სამშობლო სცენის ერთგული მსახურნი გაუმრავლოს სომხებსა და ქართველებსაც. ვაშა იმ მსახიობის ხსოვნას, რომელმაც გული აუძგერა არა მარტო თავისიანებს, არამედ თავისს საუცხოვო ლირიზმით აღსავსე თამაშობით სხვებიც მოჰხიბლა.

დ.

## ქართული თეატრი

**„მელანიას ოინები“, კომ. 4 მოქმ. გადმოკეთებული კოცე მესხის მიერ ჰაუპტმანიდგან. ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის ბენეფისი.**

(დასასრული *)

რაც შეეხება მსახიობთა თამაშობას, უნდა ვსთქვა, რომ იგი ჩინებული იყო.

ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა მელანიას როლს თამაშობდა და მასზედ იმის მეტი არა ითქმისრა, რომ ხანუმას როლის საუცხოვოდ მოთამაშეს სრულებითაც არ გაუჭირდებოდა სათანადოდ გადმოცემა მელანიას როლისა, რომელიც გაცილებით ნაკლებ არტისტიულ ძალას მოითხოვს, ვიდრე ხანუმას როლი.

ქ-ნ გაბუნია-ცაგარლისას მხარს უმშვენებდა თავისს ნამდვილად ხელოვნურ თამაშით ვ. აბაშიძე, აღმასრულებელი მედროგე პავლეს როლისა, რომელიც მეტის-მეტი დოყლაპიაა, ერთიან დამოკიდებულია ცოლზე და ყველგან გადავარდება მისი ბრძანებით.

პავლემ ხანდახან გადაკვრა იცის და ამ დროს მოუნდება ხოლმე თავის ქალიშვილების ცემა. სიმთვრალის დროს პავლე მღერის,

*) იხ. «ივერია» № 20.

წერიათ, მაგრამ მაინც მხატვრებათა და პოეტებათ ჩაითვლებიან, აგრეთვე არიან ისეთნი პირნიც, რომელნიც მსახიობად დაბადებულან, მაგრამ თავის დღეში სცენის რამპასაც არ მიახლოვებიან. ამ აუარებელ ხალხში მხოლოდ ცოტანი არიან ბედნიერნი, რომელთაც მინიჭებული აქვთ, არამც თუ იგრძნონ, არამედ თავიანთი გრძნობა, სცენის ტეხნიკურ საშუალებათა დახმარებით, სხვასაც გაუზიარონ და აგრძნობინონ თავისთან ერთად, რაიც აწუხებს, ან ახარებს ამ საათს, ამ წამს.

„მსახიობმაო, ამბობს კოკლენი, თავისი თავის შეკავების უნარი, სცენაზედ მოქმედების დროს, იქამდის უნდა შეითვისოს და განავითაროსო, რომ როცა მის მიერ დასახული ტიპი აღელვებულია, ის გულ-გრილად უნდა რჩებოდესო. როგორც გრძნობა მიჩლუნგებული, მეცნიერებით განსწავლული ექიმი გვიჩვენებს კაცის სხეულში, წარბ-შეუხრელად, ყოველს ძარღვს, აგრეთვე მსახიობი თავის როლის აღსრულების დროს, უნდა აღგვინიშნავდეს ყოველივე ნერვის მიმოძრაობას, ყოველ ძარღვის ცემას. და ამავე დროს მსახიობმა უნდა დაიცვას ოლიმპიურთა ღმერთთა სიდინჯე, გრძნობათა გათოშილობა და ეს სულ იმისთვის, რომ აღელვების დროს უცბად მოვარდნილმა სისხლმა არ დაუმსხვრიოს მსახიობს მისი ქმნილებაო“.

მართალია კოკლენის აზრი; მსახიობს უნდა ჰქონდეს შეთვისებული გრძობათა შეკავება, მხოლოდ ზომიერად-კი. მსახიობი უნდა სულდგმულობდეს თავის ტიპის გრძნობით, მაგრამ თავის დაჭერის ძალაც უნდა ჰქონდეს.

მსახიობი ყოველთვის ორი როლის აღმსრულებელია. ის აოა კმარა, რომ შეითვისოს და იგრძნოს მის მიერ დასახული ტიპის ხასიათი და თვისებანი, არამედ იმავე დროს უნდა აგრძნობინოს თავისი მდგომარეობა მაყურებელსაც; მაშასადამე მსახიობი თავის საგანს ვერ მიაღწევს, თუ თავისი თავი ყოველთვის ხელთ არ ექნება. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან კოკლენისაგანვე ნაამბობ მაგალითს: „ერთხელაო, ამბობს კოკლენი, სცენაზედ გამოსვლამდის, მეტად მოვიქანცე და სცენაზედ ნამდვილათ დამეძინა. როგორც მითხრეს ნამდვილი ხვრინვა ამოვუშვი, იმის მაგივრად, რომ მხოლოდ თავი მძინარედ მეჩვენებინა. მერე რა გამოვიდაო?—იკითხება კოკლენი,—ისაო, რომ ჩემს დღეში მე ისე საძაგლად და საზარად არ მიხვრინიაო“.

ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ძილის დროს კოკლენმა დაკარგა თავის დაჭერა და ძილის გრძნობამ-კი სრულიად შეიპყრა იგი. მაგრამ კოკლენს რომ ოდესმე ნამდვილი ცრემლები დაეღვარა და ამ ცრემლებისთვის-კი ის მიმართულება მიეცა, რასაც მისი ჭეშმარიტი არტისტიული ალღო ეუბნებოდა, ვეჭვობ, რომ ვისგანმე შედარება გაეგონა ნამდვილსა და ყალბ გრძნობებისაგან გამოწვეულ ცრემლთა შორის; ვეჭვ, რომ ნამდვილად დაღვრილი ცრემლი მაყურებელზედ ნაკლებ იმოქმედებდა, ვინემც ყალბის გრძნობით გამოწვეული ცრემლი.

ისტორია გადმოგვცემს: რაფაელი თავის მადონის ხატვის დროს ცრემლს აფრქვევდაო და მიქელ-ანჯელოს უნდოდა თავისი შექმნილი ქანდაკება დაემსხვრია, იმიტომ, რომ გული არ უცემდაო. შედეგი ამ სახელოვან მხატვართა სულის მოძრაობისა უკვე ვიცით: საწუთრომ ვერა დააკლორა მათს გენიოსურ ქმნილებას და უკუნისამდესაც მათს თხზულებას კაცობრიობა თაყვანს სცემს, ადიდებს და მათზედ სწავლობს ჭეშმარიტებას. მეორეს მხრით, კოკლენის თანამემამულენი, გამოჩენილნი წარმომადგენელნი ხელოვნებისა ეგრომი და ბუგრო გვაკვირვებენ ტეხნიკის განვითარებით, იქნება ასეთი ტეხნიკა რაფაელსა და მიქელ ანჯელოსაც არ მოეპოვებათ, მაგრამ უსულობა და უგრძნობლობა მეტყველობს და გამოსჭვივის მათს ქმნილებაში.

ამ კანონს ექვემდებარება ყოველის დარგის მხატვრული ნაწარმოები, უბრალო ხალხურ სიმღერიდგან დაწყებული, სებასტიან ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიამდე და უბრალო ზღაპრიდგან, ფრთა-შესხმულ დიდებულ შემოქმედთა ოცნებამდე, როგორც „დაკარგული სამოთხე“ მილტონისა და „სიზმარი ზაფხულის ღამით“ შექსპირისა, და ამავე კანონს ექვემდებარება ცხოველმყოფელის სულით გაბრწყინებული თამაშობა მსახიობისაც.

ი. კარგარეთელი.

[illegible]

პიესაში არის ერთი ჯაშუში ქიტუა, რომელიც სახლებში დაძვრება, აქა-იქ დასუფსუ-ლებს, ცხვირითაც-კი ეძებს, სად რას ლაპარაკობენ, რომ ამაღლაძეს მიუტანოს ამაზედ ამბავი და ამით საჩუქარი მიიღოს. ამ ჯაშუშმა სრული განხორციელება ვერ ჰპოვა ამ საღამოს სცენაზედ ზ. საფაროვის-მიერ, მაგრამ უკანასკნელი მაინც კარგი იყო და როლს, თუ არ მიუმატა, არა დააკლო-რა.

ბ-ნი აწყურელი საუცხოვო იყო ყასაბ არუწას როლში. თვითეული მისი სიტყვები, მაგ., „ხუთი მანეთი მიიიცია, დამიკლავს, ჩამომიკიდნია, ვნახოთ აღარ არის ხბო“, განუწყვეტელს სიცილ-ხარხარს იწვევდა. მართალია, ეს სიტყვები თვითონვე კილოიანია და ადვილად გააცინებს მაყურებელს, მაგრამ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ ის ითქვა არა შესაფერისი კილოთი, ხალხში სიცილს-კი არა, ხველებასაც არ გამოიწვევს...

დანარჩენი მოთამაშენი ქ.ქ. ლეჟავა, რიონელი, ბ.ბ. სვიმონიძე, გამყრელიძე, რომანიშვილი ჵ სხვ. კარგნი იყვნენ და ხელს უწყობდნენ ცუდი პიესის კარგად ჩავლას.

„მელანიას ოინები“-ს შემდეგ წარმოადგინეს გ. სუნდუკიანცის „საღამოს ერთი ცხვირი ხეირია“. ამ პიესამ მოზნეფისისა, ვ. აბაშიძისა და აწყურელის ხელოვნური თამაშით ცოცხლად ჩაიარა.

თეატრი ხალხით სავსე იყო. მოზნეფისე ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისას საზოგადოება დიდის თანაგრძნობითა და ტაშის ცემით მიეგება. მსახიობ-ქალს რამდენიმე საჩუქარი მიართვეს.

ა—ნა.

—

15 იანვარს პარიჟში გარდაიცვალა 64 წლის მოხუცებული მემუსიკე, რობერტ პლანკეტი, დამწერი „კორნევილის ზარებისა“ და „რიპპისა“; ამ ოპერეტების დაწერით მან გაითქვა სახელი მთელ დედამიწის ზურგზედ, მისმა ოპერეტკებმა შემოიარეს მთელი ქვეყანა და ყოველ წელს რობერტ პლანკეტს ამ ოპერეტკების წარმოდგენიდგან შემოსდიოდა ერთი მილიონი ფრანკი, ანუ ჩვენ ფულზედ რომ ვიანგარიშოთ 400,000 მან.

# დეპეშა

(შემთხვევითის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი.** 25 იანვარს, შავის-ქვის მრეწველთა კრებამ ქუთათური საზოგადოება იმდენად არივ-დარია, რომ მეგობარი მეგობარს ჰღალატობს. გაზ. „კვალი“-ს, კალ. ჩიკვაიძის და ემერიკის მომხრენი შეერთდნენ და ზდანოვიჩის წინააღმდეგ ანდრია ერისთავის კანდიდატურა წამოაყენეს. ერისთავიც დაჰყაბულდა და შედეგი ამ დღეებში აღმოჩნდება. ერისთვის საქციელმა დიდად გაანცვიფრა ქუთაისის საზოგადოება.

—

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

24 იანვარი.

**პეტერბურგი.** 24 იანვარს, საღამოს 7 ს. და 15 წ. წავიდა კიევს მატარებელი, რომელშიაც ესვენა გვამი მიტროპოლიტის თეოგნოსტესი.

**ფრანკფურტი მაინზე.** „ფრანკ. ც.“-ს აუწყებენ სტამბოლიდგან, ოტომანის ბანკმა გადასცა პორტას გეგმა ვალების გაერთიანების შესახებ, რის გამო პორტას 900,000 გირვანქა სტერლინგი დაეზოგება. პორტამ თამბაქოს მონოპოლიის საზოგადოებამ მიიღო სესხად 70,000 გირვანქა 7 პროცენტად.

**ოდესა.** 1-ლს თებერვალს განზრახულია დაიწყოს მოქმედება უმავთულო ტელეგრაფმა ხერსონსა და გოლოს ნავთ-სადგურ შორის დნეპრზედ.

**გააგა.** მთავრობამ მოსთხოვა პალატას შეიწყნაროს 12 ივნისის კონვენცია, რომლის ძალით განწესიერებულია უთანხმოებანი სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა კანონებში შესახებ ქორწინებისა, განქორწინებისა, ცოლ-ქმართ განცალკევებისა და მცირეწლოვანთა დაფარვისა.

**ლონდონი.** სპრინგ რეისი, ინგლისის კომისარი ეგვიპტის სახელმწიფო ვალებისა, დაინიშნა პირველ მდივნად ინგლისის საელჩოსი პეტერბურგს.

**ხარკოვი.** 24 იანვარს აქედგან წავიდა კიევს მთავარ ეპისკოპოსი ფლაბიანე, რომელსაც დაევალა დაასაფლაოს მიტროპოლიტი თეოგნოსტი.

**კალიში.** სამინისტრომ დაამტკიცა გეგმა კალიშის წყლის მილის 500,000 მან.

**ვროლდნო.** გროდნის გუბერნატორს გადაეცა 2,060 მან. დასაგირავებლად კამენეც-ლიტოვსკის გადამწვართა.

**ვილნა.** 24 იანვარს, სასწავლო ოლქის ასის თავის შესრულების გამო, გიმნაზიის ეკლესიაში გადაიხადეს წირვა. 2-ს საათზე იყო სხდომა მზრუნველ საბჭოსი მინისტრის ზენგერის თავმჯდომარეობით, გენერალ-გუბერნატორის, მთავარ ეპისკოპოსის იუვენალის და უმაღლეს წარმომადგენლებისა სხვა-და-სხვა უწყებათა და სასწავლო ოლქისა. სიტყვა წარმოსთქვა ოლქის მზრუნველმა და წაიკითხეს ისტორიული განხილვა თანაშემწის მიერ ოლქის მართვისა. დღესასწაული შესრულდა საერო ჰიმნით.

**მოსკოვი.** 24 იანვარს მოსკოვის სამასწავლებლო ოლქმა გადაიხადა ასის წლის თავი—იყო პარაკლისი. მზრუნველმა სიტყვა წარმოსთქვა. დამსწრეთ დეპეშა გაუგზავნეს სახალხო განათლების სამინისტროს მმართველას თხოვნით მისს უდიდებულესობის ფერხთა წინაშე წარადგინოს მოსკოველ პედაგოგთა უქვეშევრდომილესი გრძნობანი.

**პეტერბურგი.** 23 იანვარს თავად იუსუპოვის გაიმართა საოპერო წარმოდგენა, რომელსაც დაესწრნენ მათნი უდიდებულესობანი და მათნი უმაღლესობანი. თეატრი რთკთკოს ყაიდისა. ერთი მოქმედება „ტრავიატიდგან“, და ერთი მოქმედება „ფაუსტიდგან“. მონაწილეობას იღებდნენ არნოლდსონი და იტალიის ოპერის არტისტები.

25 იანვარი

**ბათუმი.** მანთაშევის ქარხანაში ცეცხლი ჩააქრეს. ეჭვი აქვთ, რომ ცეცხლი განზრახ არის წაკიდებული. მის ჩაქრობას დიდი დახმარება გაუწია თავისუფალ ცეცხლის მქრობელთა რაზმმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ინგლისის კონსული სტივენსი.

**ფილიპპოლი.** დიდ ვეზირსა და ილზიზის, ხშირი უთანხმოება ხდება. როგორც ამტკიცებენ ფერდ-ფაშის გავლენა შესუსტდაო.

**პეტერბურგი.** იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა შესწირა 10,000 მარკა მოუსავლობისაგან დაზარალებულ ფინლიანდელების სასარგებლოდ.—მრეწველობის, მეცნიერების და ვაჭრობის დეპარტამენტის სტატს სეკრეტარი ტეცნერი დანიშნულია სახემწიფო ეკონომიის სტატს-სეკრეტრად.—ბრესტლიტოვის ციხის კომენდანტი ოტიგანტერიის გენერალი ბერნგარდტი დანიშნულია ალექსანდროვის დაჭრილთა დამხმარებელ საზოგადოების წევრად.—ანდიჟანელთა სასარგებლოდ გამართული კონცერტის წმინდა შემოსავალი ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის ბრძანებით გარდაეცა დეპეშით თურქესტანის გენერალ-გუბერნატორს.

**ფილიპპოლი.** ოსმალეთსა და იტალიას შორის უთანხმოება ჩამოვარდა იანინის იტალიელ ქვეშევრდომთა შესახებ.

**ბრიუსელი.** დაიწყეს რუბინოს საქმის გარჩევა, რომელსაც რევოლვერი უსვრია ბელგიის მეფისათვის.

**ლონდონი.** მეფე თანდათან კარგად ხდება.

**კიევი.** სამეურნეო კომიტეტის წევრთა კრება დასრულდა. კრებამ დაადგინა: ერობის შემოღება, სოფლის მართველობის ძირითადი რეფორმების შემოღება, საყოველთაო სავალდებულო სწავლა, სოფლის სასამართლოს გაუმჯობესება, გლეხთა თავისუფალი წასვლა-წამოსვლა და სხ. კომიტეტმა საქმის გათავების ბოლოს მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს გუბერნატორს ტრეპოვს.

**პეტერბურგის ბირჟა**, 24 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | 46,05 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,85 |
| ბერლინში „ | 46,27½ |
| პარიჟში „ | 37,70 |
| ბირჟის დისკონტი | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98⅛ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100¾ გაყ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95 მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 461 გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 372½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 308¾ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — / 90⅞ გაყ. |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები „ „ „ „ | — |
| „ კასპიის ამხანაგობისა | — |
| „ ბაქოს ნავთის საზოგად. | 397 წვრ. გაყ. |
| „ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 192½ გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3( საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).


# განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

## დავით გიორგის ძე ნანუკოვი,

1902 წელს, 9 ღვინობისთვეს, ტფილისის ოკრუჟნოი სუდისაგან მიღებულის მოწმობის ძალით, კვალად კისრულობს **სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების წარმოებას** — ტფილისის გუბერნიის ოლქისა და მომრიგებელ სასამართლოებში. ნახვა შეიძლება ქ. თელავში, საკუთარს სახლში.

(4—476—3)

„GRAND PRIX“ PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Духи

„Трефль“

## საკოსმეტიკო მასალა

БЕРТА РИСЪ



მის იმპერატორ. უდიდებულესობ. კარის ვაჭარი



Pasta Eugénie საცხებელი (პუდრა) პირი-სახისათვის, რომელიც აქრობს სწრაფად მზისაგან ალანძულებას, ჭორფლს, სიწითლის ლაქებს არბილებს პირისახის კანს, აგრეთვე სიახლესა და სილამაზეს აძლევს სახე'ს. ფასი 1 მ. 60 კაპ.

**პუდრა**-Eugénie თეთრი, ვარდის ფერი და რაშელი. მაგრად ეკვრის კანს და თვალისათვის უჩინარია; აგრეთვე აძლევს პირის-სახის კანს შესანიშნავს სირბილეს, სიფაფუკესა და სინაზეს. ფასი 1 მ. 20 კ. შესაფქვევის ბუმბულის კანით 1 მ. 50 კ.

**ფერ-უმარილი**-Eugénie (წყალივით არის) და აძლევს ლაწვებს და ყურებს სრულიად ბუნებრივს ვარდის ფერს, რომელსაც არ ეშნიან არც დღისა და არც ელექტრონის სინათლისა ფასი 1 მ. 50 კ.

Elixir-Mélange წყალივით სახმარია თმ ს საზრდელად და თავში ქერტლის გასაწყობად. ფასი 2 მ.

**დაფნის ბალზამი** (პუდრაა წყალივით) აძლევს პირი-სახეს, ყელს, ხელებს და სხვ. ნაზს სირბილეს და მარმარილოს მზგავს სისუფთავეს. აქრობს მზისგან ალანძულობას, ჭორფლს და კანის ყოველსავე ძიძიბოებს. ფასი 1 მ. 75 კ.

**ქინაქინ-გლიცერინის-მიერი** თმის საცხებელი (პომადა) პერუს ბალზამით შეზავებული გასამაგრებლად, გასახშირებლად და გასაზრდელად თმისა. ფასი 2 მან.

**საღებავი თმისა** (რის-გუტმანი): შავი, მიხაკის ფერი, შატენი და ბლონდი. ამ საღებავით შეღებილი თმა 6 კვირის განმავლობაში შეირჩენს ფერს; შემდეგ არ მიიღებს არც მოწითანო და არც ჯიგრის ფერს. ფასი 3 მან.

**უნგარული ესენცია ულვაშებისათვის** (რის-გუტმან) აძლევს ულვაშებს სასურველს ფორმას, ამაგრებს და ხელს უწყობს მათს სწრაფლს ზრდას. ფლაკონი პატარა სარკით ადვილად შეინახება ჟილეტის ჯიბეში. ფასი 75 კაპ.

**ტოკაის ბალზამი** (ქიმიკოსის რისგუტმანისა) აქრობს ბებერებსა და მეჭეჭებსა, აქრობს ძირიან ფესვიანად. ფასი ფლაკონისა—80 კ.

უმთავრესი საწყობი ტფილისშია. სააფთ. საქონ. ვაჭრ. ამხ.-ში და ყოველ სააფთიაქო მაღაზიაში.

ტექსტი ამოღებულია „Прав. Вѣст.“-იდან, № 23 1601 წ. (80—3)

## ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით ჵ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა. 6—5.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში** — „წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“*.

# САРАТОВСКАЯ САРПИНКА

# 508

образцовъ въ изящномъ альбомѣ высылаются за 49 коп. почт. мар.

## на лѣтній сезонъ 1903 года,

**легкая лѣтняя ткань** для платьевъ и бѣлья.

Продажа оптомъ и въ розницу, пересылка розничныхъ заказовъ безплатно.

Фабриканты Торговый Домъ

**„Андрей Бендеръ Сыновья“.**

въ Саратовѣ, Никольская улица.

(2—6—2)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.